(2010)

ევროპარლამენტის რეზოლუცია სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სტრატეგიის საჭიროების შესახებ **(2009/2216(INI)**

ევროპის პარლამენტი,

(...)

კონფლიქტები საქართველოში

13. კვლავ ხაზგასმით მიუთითებს უპირობო დახმარებაზე საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ და მოუწოდებს რუსეთს პატივი სცეს მათ; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას შემდგომი ძალისხმევისკენ, რათა მოხდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს შიდა კონფლიქტების მოგვარება; მიესალმება ტალიავინის მოხსენებას და მხარს უჭერს მის ძირითად მოსაზრებებსა და დასკვნებს; მიაჩნია, რომ მოხსენებაში მოცემული ვრცელი ბაზისური ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სასამართლო პროცესებისთვის საერთაშორის სისხლის სამართლის სასამართლოში და ასევე ინდივიდუალურ მოქალაქეთა მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის კუთხით; მხარს უჭერს ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) მანდატს და მოუწოდებს მისი შემდგომი გაგრძელებისაკენ; მოუწოდებს რუსეთს და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გამოყოფილი რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლებას შეწყვიტონ მისი ნაწილის განხორციელების დაბლოკვა.

14. კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ თითქმის ერთხმად უარყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება; წუხს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმოუკიდებლობის აღიარების გამო, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს; მოუწოდებს ყველა მხარეს პატივი სცენ 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას, რომელიც ევროკავშირის მონიტორთა მისიის უსაფრთხოებისა და მათი ადგილზე ხელმისაწვდომობის გარანტიაა; მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას პატივი სცეს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას მისი შეიარაღებული ძალების დაბრუნების შესახებ 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებულ პოზიციებზე; შეშფოთებით მიუთითებს რუსეთის ფედერაციის 2010 წლის 17 თებერვლის ხელშეკრულებაზე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან, რომელიც აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ბაზის მშენებლობას ითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე და აღნიშნავს, რომ ასეთი ხელშეკრულება ეწინააღმდეგება 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებებს;

15. ხაზგასმით მიუთითებს გამოყოფილ რეგიონებში მცხოვრები ყველა ადამიანის უსაფრთხოების, ეთნიკური ქართველების უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პირობების, იძულებითი პასპორტიზაციის შეწყვეტის, დე ფაქტო საზღვრების დახურვის შემცირების, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო აქტორების მიერ ამ ორ რეგიონში ადამიანებისათვის დახმარების გაწევის მნიშვნელობაზე; მიუთითებს ამ თვალსაზრისით მოკლე და საშუალო ვადიანი ამოცანების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბების აუცილებლობაზე; მოუწოდებს საქართველოს გააგრძელოს იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქმედო გეგმის განხორციელება და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების გაწევა მისი ტერიტორიის ფარგლებში;

16. ხაზგასმით მიუთითებს საქართველო-აფხაზეთის და საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებისადმი ყურადღების მიქცევისა და ამ კონფლიქტებში ჩართული ყველა ადამიანის უფლებებისა და პრობლემებისადმი თანასწორი მიდგომის აუცილებლობაზე; ხაზგასმით მიუთითებს,

რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის იზოლაცია უარყოფითად მოქმედებს კონფლიქტის მოწესრიგებაზე და მიესალმება სახელმწიფო სტრატეგიას თანამშრომლობის მეშვეობით ჩართულობის შესახებ, რომელიც 2010 წლის 27 იანვარს იქნა მიღებული; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას კონსულტაციები აწარმოოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან ამ სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით; ხაზგასმით მიუთითებს ნდობის აღდგენისა და საზოგადოების დონეზე კონტაქტების ხელშემწყობი ღონისძიებების მნიშვნელობაზე; გარდა ამისა, მოუწოდებს ევროკავშირს ხელი შეუწყოს გადაადგილების თავისუფლების პროექტებს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ.

17. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ჟენევის მოლაპარაკებებს, როგორც ერთადერთ ფორუმს, რომელშიც კონფლიქტში ჩართული ყველა მხარეა წარმოდგენილი და სადაც სამი საერთაშორისო სუბიექტი – ევროკავშირი, ეუთო და გაერო – მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე მუშაობს რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის; წუხს, რომ ამ ფორუმის პოტენციალმა ჯერ კიდევ ვერ მოიტანა არსებითი შედეგები და რომ ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე კვლავ ხდება ინციდენტები, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები მიესალმენ ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შექმნას; მოუწოდებს მხარეებს სრულად გამოიყენონ ეს მექნიზმი და მისი პოტენციალი ურთიერთნდობის განმტკიცებისთვის; მოუწოდებს კომისიის ვიცე პრეზიდენტს/კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საკითხებში და უსაფრთხოების პოლიტიკაში (VP/HR) ყველა ღონე იხმაროს ამ მოლაპარაკებებისთვის ახალი სტიმულების მისაცემად, მდგომარეობის დამაკმაყოფილებელი სტაბილიზებისა და 2008 წლის აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების სრული განხორციელების მიზნით;

(...)

უსაფრთხოების საკითხები და კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება

39. სჯერა, რომ კონფლიქტის დარეგულირების პროცესისადმი მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია და რომ ევროკავშირს შეუძლია ხელი შეუწყოს ნდობის განმტკიცებას, რეკონსტრუქციასა და რეაბილიტაციას და უნარი აქვს დაეხმაროს დაზარალებული თემების ჩართვას; ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია სამოქალაქო ჩართულობის დაფუძნება არა მხოლოდ ლიდერებს შორის, არამედ სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის; გარდა ამისა, მიაჩნია, რომ საჭიროა საერთაშორისო ყურადღება რეგიონში არსებული ყველა კონფლიქტისადმი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი უმტკივნეულო დარეგულირება; აღიარებს რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელობას, რაც საჭირო პირობაა ნდობის განმტკიცებისთვის და უსაფრთხოების გაძლიერებისთვის, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტების შესაბამისად; მოუწოდებს ყველა მხარეს სრულად ჩაერთონ აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივ თანამშრომლობაში, მისი კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებასთან დაკავშირების გარეშე.

40. მიუთითებს რეგიონში გაყინული კონფლიქტების გააქტიურების საშიშროების პოტენციალზე; ამ კონტექსტში რეკომენდაციას იძლევა შეიქმნას უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია სამხრეთ კავკასიაში, რომელიც შესაბამის ქვეყნებს და სათანადო რეგიონულ და გლობალურ აქტორებს მოიცავს. მისი მიზანი იქნება სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის პაქტის შემუშავება.

41. ითვალისწინებს ევროკავშირის ჩართულობას რეგიონში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესებში და იმედოვნებს, რომ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლა საფუძველს მისცემს ევროკავშირის როლის გააქტიურებას; მთლიანად უჭერს მხარს ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში, პიტერ სემნების; მიესალმება ევროკავშირის მონიტორთა საქმიანობას საქართველოში და მოუწოდებს ევროკავშირის მოქმედების გაძლიერებისაკენ, რათა დაარწმუნონ რუსეთი და შესაბამისი დე ფაქტო ხლისუფლებები შეწყვიტონ ევროკავშირის მონიტორთათვის სამხრეთ ოსეთში და

აფხაზეთში შესვლის დაბლოკვა; მიაჩნია, რომ ევროკავშირს ახლა აქვს შესაძლებლობა მხარი დაუჭიროს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტას და ხაზგასმით მიუთითებს ამ კუთხით ევროკავშირის მონაწილეობის მნიშვნელობაზე; აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიაჩნია მინსკის ჯგუფში ევროკავშირის როლის განახლება მინსკის ჯგუფში ფრანგი თანათავმჯდომარისთვის ევროკავშირის მანდატის დაფუძნების მეშვეობით; მოუწოდებს კომისიას გამოიკვლიოს მთიანი ყარაბაღის რეგიონის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების შესაძლებლობები, ასევე დევნილებისა და ლტოლვილებისთვის, რომლებმაც რეგიონი დასტოვეს; სთხოვს კომისიას და ევროკავშირის წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში, სემნების, განიხილონ მთიანი ყარაბაღისთვის დახმარებისა და ინფორმაციის გავრცელების პროგრამების გაფართოვების საკითხი, ასევე აფხაზეთსა და ოსეთში;

42. მოუწოდებს კომისიის ვიცე პრეზიდენტს/კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საკითხებში და უსაფრთხოების პოლიტიკაში (VP/HR) თვალყური ადევნონ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და აქტიურად ჩაერთონ კონფლიქტის დარეგულირების პროცესებში; აღიარებს სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის მუშაობას და იმედს გამოთქვამს, რომ უმაღლესი წარმომადგენელი უზრუნველყოფს მის გაგრძელებასა და თანმიმდევრულობას; მოუწოდებს საბჭოს განიხილოს ევროპის კავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) მექანიზმების გამოყენების საკითხი, რათა გააძლიეროს მისი მონაწილეობა მშვიდობის დამყარებასა და კონფლიქტის მენეჯმენტის პროცესებში;

43. მოუწოდებს კომისიას გამოიკვლიოს მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებებისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის შესაძლებლობა და მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტისაგან დაზარალებული ყველა რეგიონის რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციაში, როგორიცაა შემოსავლების გენერირების პროექტები და დევნილთა და დაბრუნებულთა ინტეგრაციისა და საცხოვრებელთა რეაბილიტაციის პროგრამები, ასევე გააგრძელონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს უწყობს მორიგებასა და კონტაქტების დამყარებას ადგილობრივ მოსახლეობასა და ინდივიდუალურ პირებს შორის;

(...)

2010 წლის 20 მაისი.

(http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc./საკუთარი თარგმანი)